

კასპი

2016 წლის 12 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე ოთარ ჭეიშვილი

საკრებულოს ბიუროს წევრები- შ. ბეგლარაშვილი, ი. ქაშხაძე, ვ. საჩალელი, ზ. ჩადუნელი, ა. შიშინაშვილი, ხ.თათანაშვილი, ნ. მიდელაშვილი, ი. კიტრიაშვილი, ო. ჭეიშვილი;

დღის წესრიგი:

1. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“-ს დაშლის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“-ს დაშლის შესახებ ხ. თათანაშვილმა დეპუტატებს გააცნო ცნობის სახით. რესპუბლიკური პარტიის წევრმა ნ. მიდელაშვილმა დატოვა ფრაქცია „ ქართული ოცნება რესპუბლიკელები“.

სხვადასხვა:

შ. ბეგლარაშვილმა განაცხადა, რომ კასპის რაიონში, სოფელ ხოვლეში მცხოვრები ქეთევან ბიჭიკაშვილი, რომელიც არის ზურგის ტვინის სიმსივნით დაავადებული, ამზადებდნენ მასწავლებლები, ეს ბავშვი გახდა სტუდენტი, რომელმაც ჩააბარა ილიას უნივერსიტეტში მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე. ეთხოვოს გამგებელს, ამ ბავშვის დაჯილდოვებაც, იმ წარჩინებულ ბავშვებთან ერთად, რომელსაც მუნიციპალიტეტი აჯილდოვებს.

აღნიშნულ საკითხს დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ამით საკრებულოს ბიუროს სხდომამ დაასრულა მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარე

ოთარ ჭეიშვილი:

